

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტის რექტორის

**ბრძანება № 01-01/79**

თბილისი

“ 29 “ ოქტომბერი 2018 წ.

*აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:*

*„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის 2 მუხლის, 1 პუნქტის და სამართლის ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე*

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2018 წლის 29 ოქტომბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პროფესორის 6 (ექვსი) წლის ვადით დასაკავებლად.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2018 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 10 დეკემბერს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (11, 12, 13 დეკემბერი). კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2018 წლის 14 დეკემბერს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 2 აკადემიური პერსონალი - 2 პროფესორი.

**სამართლის ფაკულტეტი**  
**საჯარო სამართლის კათედრა**

**2 პროფესორი**

**6 (ექვსი) წლის ვადით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:**

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ან/და სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს (3-4 გვერდზე Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

**არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:**

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

**4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:**

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.
6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.
7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი